ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან
სტრატეგიული პარტნიორობის მიმოხილვის
დოკუმენტი №3

NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან:



ჩინეთის გლობალური განვითარების ინიციატივისგან მომდინარე საფრთხეების ანალიზი



დეკემბერი
2023

2023 წლის 31 ივლისს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა ჩინეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებას. ამ შეთანხმების პირობების თანახმად, საქართველო სრულად უჭერს მხარს სი ძინპინის მიერ გაჟღერებულ ყველა ინიციატივას და აცხადებს მზადყოფნას აქტიური ჩართულობისთვის. მოვლენების მსგავსი, მოულოდნელი განვითარება, ძირს უთხრის ერის ამბიციებს ევროატლანტიკურ პარტნიორობასთან დაკავშირებით და უსაფრთხოების გრძელვადიანი რისკების მატარებელია.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველო ზემოთხსენებულ დღემდე ,,გლობალური განვითარ-ების ინიციატივის ნაწილი'' არ ყოფილა, თუმცა 2023 წლის 31 ივლისს გაფორმებული დოკუმენტის მიხედვით, იგი მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხსენებული ინიციატივის ფარგლებში წარმოებულ თანამშრომლობაში, რათა დაჩქარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2030 წლისთვის გაწერილი მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელება.

ჩვენი მიზანია, დაინტერესებულ მკითხველს დავეხმაროთ „გლობალური განვითარების ინიციატივასთან“ დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებასა და ანალიზში, რამაც შესაძლოა სერიოზული პრობლემა შეუქმნას საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიზნებს და ქვეყანა სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ორბიტაზე დააყენოს.

რა არის გლობალური განვითარების ინიციატივა (GDI)?

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ რამდენიმე დოკუმენტის (2011, 2014, 2021) მეშვეობით უკვე სცადა განვითარების კუთხით თანამშრომლობის სტრატეგიის შესახებ, საკუთარი საჯარო პოზიციის დაფიქსირება, თავად გლობალური განვითარების ინიციატივა პირველად 2021 წლის 21 სექტემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის 76-ე სესიის მთავარი განხილვისას ახსენეს. ეს მაშინ, როცა ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინპინმა, წარადგინა მოხსენება სახელწოდებით "უკეთესი სამყაროს შესაქმნელად ნდობის გაძლიერება და სირთულეების ერთობლივი გადალახვა". სიტყვით გამოსვლისას, ხაზი გაესვა განვითარების ხედვის სახელმძღვანელო პრინციპებს, რა დროსაც გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- ✓ ეკონომიკური ზრდა,
- ✓ თანასწორობა საერთაშორისო დონეზე,
- ✓ გარემოს დაცვა.

2022 წლის ივნისში, ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინპინის ხელმძღვანელობით, კიდევ ერთი გლობალურ განვითარებასთან დაკავშირებული მაღალი დონის დიალოგი გაი-

მართა - „გლობალური განვითარების პარტნიორობის ხელშეწყობა ახალი ეპოქისთვის, 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ერთობლივად განსახორციელებლად“. შეხვედრაზე ყურადღება მიექცა გლობალური ალიანსის შექმნის აუცილებლობას, GDI-ის 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ფარგლებში გამოიყო 8 მიმართულება, რომლის საპასუხოდ შემუშავდა 32 ღონისძიება.

კონცეპტუალური დოკუმენტის თანახმად, გლობალური განვითარების ინიციატივა მიმდინარე საერთაშორისო განვითარების პროცესში წარმოადგენს, სირთულეების დაძლევისა და შესაძლებლობების გამოყენების სტრატეგიულ ჩარჩოს. იგი იმ გლობალური კრიზისის საპასუხოდ შეიქმნა, რომელიც COVID-19 პანდემიამ შექმნა ეკონომიკასა თუ განვითარების მიზნებთან მიმართებით.

ინიციატივა მიზნად ისახავს გლობალური ძალისხმევის კოორდინაციას იმისთვის, რომ გადაიჭრას განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე პრობლემები. დაჩქარდეს პოსტ-პანდემიური აღდგენის პროცესი და ამასთან გამოყენებულ იქნეს გარემოს დაცვის მიმართულებით არსებული ახალი შესაძლებლობები.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, დოკუმენტი გამოყოფს 8 ძირითად მიმართულებას:

- ✓ სიღარიბის შემცირება,
- ✓ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა,
- ✓ პანდემიებთან გამკლავება და ვაქცინების გავრცელება,
- ✓ განვითარების დაფინანსების ხელშეწყობა,
- ✓ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლა და ეკოლოგიურად სუფთა განვითარების ხელშეწყობა,
- ✓ ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა,
- ✓ ციფრული ეკონომიკის ხელშეწყობა,
- ✓ ციფრული ეპოქის ფარგლებში კავშირგაბმულობის გაუმჯობესება.

ამასთან ერთად, GDI მიზნად ისახავს გაეროს 2030 წლის განვითარების მიზნებსა და ისეთ ინიციატივებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას, როგორებიცაა ერთი სარტყელი-ერთი გზის ინიციატივა, აფრიკის კავშირის დღისწესრიგი 2063, აფრიკის განვითარებისთვის ახალი პარტნიორობა, აფრიკის განვითარებისთვის პარტნიორობის ინიციატივა, მათ შორის, ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის პარტნიორობა და სხვა.

შესაბამისად, GDI არის ჩინეთის მცდელობა, დააკავშიროს გლობალური ინიციატივების ფართო სპექტრი და მოათავსოს ისინი მოქმედების ერთ ჩარჩოში.

GDI–ში გაწევრიანება და მისი იმპლემენტაცია

2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით, გლობალური განვითარების ინიციატივამ 100-ზე მეტი ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერა მიიღო, ხოლო 68 ქვეყანა შეუერთდა გაეროს GDI-ს მეგობართა ჯგუფს.

2022 წლის 20 სექტემბერს, ჩინეთის სახელმწიფო მრჩეველი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ვანგ ი, უძღვებოდა GDI-ის მეგობართა ჯგუფის მინისტრთა შეხვედრას ნიუ-იორკში. გაეროს გენერალურმა მდივანმა, ანტონიო გუტერეშმა გამოაგზავნა ვიდეო მიმართვა. შეხვედრას ესწრებოდნენ კამბოჯის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, პრაკ სოხონი, ლაოსის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, სალეუმხაი კომასიტი, ტაილანდის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, დონ პრამუდვინაი, ეთიოპიის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, დემეკე მეკონენ ჰასენი, 40-მდე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად, რომელთა შორის ასევე იყვნენ მონღოლეთის, მალაიზიის, შრი-ლანკის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ალჟირის, მაროკოს, ტუნისის, ნიგერიის, სიერა ლეონეს, ზიმბაბვესა და ნიკარაგუის მინისტრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, როგორიცაა გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენლები.

ექვსი ძირითადი მიმართულების განხილვის შემდეგ, სამიტმა წარმოადგინა GDI-ს შემდგომი განვითარების ყოვლისმომცველი გეგმა. იგი ხაზს უსვამდა პროექტზე ორიენტირებულ საქმიანობების განხორციელების, ენერგიული პოლიტიკური დისკურსის წარმოების, შესაძლებლობების გაძლიერებისა და პრაგმატული თანამშრომლობის მნიშვნელობას. კონფერენციაზე ასევე ყურადღება მიექცა GDI-ის პროექტების მხარდასაჭერად ისეთი სახსრების გამოყენების აუცილებლობას, როგორიცაა ჩინეთი-გაეროს მშვიდობისა და განვითარების ფონდი, გლობალური განვითარებისა და სამხრეთ-სამხრეთის (SSC) თანამშრომლობის ფონდი. სამიტი ფოკუსირებული იყო, ისეთ არსებით გლობალურ გამოწვევებზე, როგორებიცაა სურსათისა და ენერგეტიკის უსაფრთხოება, ასევე ხაზგასმით აღინიშნა ყოვლისმომცველი თანამშრომლობის აუცილებლობა საკვანძო სფეროებში, იმისთვის რომ გარანტირებული იყოს 2030 წლის დღის წესრიგით გათვალისწინებული მდგრადი განვითარების 17 მიზნის მიღწევა.

რაც მთავარია, მოცემული გეგმის ფარგლებში წარადგინეს 7 პრაქტიკული ღონისძიება. ზემოაღნიშნული ღონისძიებები გულისხმობდა, როგორც GDI-ის ფარგლებში პროექტების პირველი რაუნდის განხორციელებას, სურსათის უვნებლობის, სუფთა ენერგიისა და საბაჟო თანამშრომლობის ფარგლებში კონკრეტული აქტივობების დაგეგმვას, ისე ჩინეთის ინიციატივით მსოფლიო ციფრული განათლების ალიანსის დაარსებას, ბამბუკის, როგორც პლასტმასის ალტერნატივის გლობალური სამოქმედო გეგმის დაწყებას, ჩინეთის დაპირებას, რომ მისი გაშვებული მდგრადი განვითარების სამეცნიერო თა-

ნამგზავრის (SDGSAT-1) მიერ მოპოვებული მონაცემები გახდებოდა გლობალურად ხელმისაწვდომი და ასევე გაეროს მდგრადი განვითარების პროგრამის ფარგლებში 6 მსოფლიო მასშტაბის პროდუქტის წარდგენას.

გლობალური განვითარების ინიციატივის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა მიიღება, როგორც ჩინეთის მიერ საერთაშორისო პროგრამებში განხორციელებული შენატანებიდან, ისე იმ დახმარების მეშვეობით, რომელსაც პეკინი განვითარების მიმართულებით გასცემს. თუმცა ეს უკანასკნელი ხორციელდება ჩინეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (CIDCA) შუამავლობით. GDI-ის განხორციელება CIDCA-ს პასუხისმგებლობაა. ეს ორგანიზაცია 2018 წელს სახელმწიფო საბჭოს სააგენტოს ქვეშ შეიქმნა. ის სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის გაძლიერებასთან ერთად, მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის წინსვლას. GDI-ის იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად CIDCA-მ დააარსა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ცენტრი. 2021-2023 წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ განვითარებად ქვეყნებს საგარეო დახმარების სახით 3 მილიარდი დოლარი გამოუყო. პრეზიდენტმა, სი ძინპინმა, განაახლა სამხრეთ-სამხრეთის თანამშრომლობის დახმარების ფონდი, არა მარტო დაფინანსებაზე 1 მილიარდი დოლარის დამატებით, არამედ ჩინეთი-გაერო-ს მშვიდობისა და განვითარების ფონდის მხარდაჭერის გაზრდით.

გლობალური განვითარების ინიციატივასთან დაკავშირებული რისკები

მიუხედავად იმისა, რომ GDI ძირითადად საუბრობდა და საუბრობს ზოგად პრინციპებზე, ამასთან ჩინეთის ადვოკატირებას განვითარების კუთხით პოზიტიური ცვლილებების მოტანა შეუძლია განვითარებად ქვეყნებში და, რაც მთავარია, ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ექსპერტები, ისევე როგორც ზოგიერთი ქვეყანა ეჭვის თვალით უყურებს აღნიშნულ ინიციატივას. მაგალითად, BRI-ის ფარგლებში ხარჯების გადაჭარბებასთან, დაგვიანებასთან და სესხებთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთის შემდეგ, ინდო-წყნარი ოკეანის ზოგიერთ მნიშვნელოვან

BRI-გან განსხვავებით, GDI ახალი ინიციატივაა. მას ამ ეტაპზე არ უკავშირდება ისეთი შედეგები, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მისი განხორციელების მიზნებსა და მოტივაციას ცხადყოფდა. თუმცა პროექტების მენეჯმენტის დაბალ ხარისხთან, კორუფციასთან, ,,ვალის მახესთან'' და სტრატეგიული ინტერესების გავრცელებასთან დაკავშირებული წარსული გამოცდილებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს GDI-ის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაში.

მოთამაშეს, როგორიცაა ინდონეზია, გარკვეული ეჭვები გაუჩნდათ ინიციატივასთან დაკავშირებით.

სავარაუდოდ, ჩინეთს რომ GDI-ის იმპლემენტაცია 10 წლის წინ დაეწყო, იგი დასავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების მხარდაჭერას მოიპოვებდა. იმ პერიოდის განმავლობაში, განვითარებასთან მიმართებით თანამშრომლობაზე საუბრისას აქცენტი ძირითადად კეთდებოდა კომუნიკაციასა და საერთო მიზნებზე დაფუძნებულ კოოპერაციაზე, ვიდრე რბილი ძალების ინტენსიურ მეტოქეობაზე. თუმცა, დღესდღეობით, კომპლექსური გეოპოლიტიკური მოცემულობის გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ აყალიბებს თანამედროვე თანამშრომლობის მექანიზმებს, მათ შორის განვითარების კუთხით, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ GDI არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტაქტიკა რბილი ძალის განსახორციელებლად. GDI ასევე კრიტიკის საგანი ხდება, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მცდელობა აწარმოოს ჩინური იდეოლოგიის პროპაგანდა განვითარებად ქვეყნებში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განზრახვების შესახებ შეკითხვები ჩნდება მის მიერ ინვესტიციებისა და აქტივობების, როგორც კონკრეტულ ტერიტორიაზე გავლენის მოხდენის ბერკეტად გამოყენების ტენდენციის გამო.

ექსპერტთა ნაწილი ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მიზანმიმართულად შეიქმნა ინიციატივა მოქნილი და ინკლუზიური წესებით. ეს უკანასკნელი იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას და გზას ტოვებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამომავლო ამბიციებისთვის, რომელიც მას განვითარების მიმართულებით შესაძლოა გააჩნდეს. ზემოაღნიშნული გადამწყვეტია პრეზიდენტ, სი ძინპინის, პოლიტიკური პოზიციისთვის ჩინეთში, რადგან ის ქმნის ჩარჩოს, რომელსაც მარტივად შეუძლიათ მოერგონ ადგილობრივი მთავრობები, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოები, დაინტერესებული პირები. ინიციატივა ადაპტირებადია და მარტივად ექვემდებარება ცვლილებას მისი ფართო შინაარსის გამო.

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ იმას, თუ რამდენად მცირეა გლობალური განვითარების ინიციატივის ბიუჯეტი BRI-სთან შედარებით, მაგრამ აქვე ყურადღებას ამახვილებენ **PRC-ის ახალ, ალტერნატიულ მიდგომაზე, რომელიც მიზნად ისახავს შედარებით მცირე, მაგრამ ერთი შეხედვით მომხიბლავი პროექტების განხორციელებას Covid 19-ის შემდეგ.** ამ შემთხვევაშიც კი, თუ განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობა დაინახავს რაიმე ხელშესახებ ცვლილებას და შედეგს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ინიციატივები, იქნება ეს BRI თუ GDI, მათი მიზნებისა და ინტერესების მეშვეობით იმოქმედებს ხალხის ემოციებზე და შესაბამისად გააძლიერებს ჩინეთის გავლენას ტერიტორიაზე. ამის შესანიშნავი მაგალითია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების მიერ GDI-ს მიღება ფინანსური მოგებისა და ,,განვითარების უფლების'' ირგვლივ თანამშრომლობის მოლოდინების გამო. იგივე ტენდენცია შეინიშნება აფრიკის ქვეყნებშიც.

გარდა ამისა, გლობალური განვითარების ინიციატივა უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკური განვითარების უფლების სახელმწიფოზე ორიენტირებულ გაგებას, რაც

თავის მხრივ გულისხმობს იმას, რომ იგი ადამიანის ამ ფუნდამენტურ უფლებას ყველა დანარჩენზე მაღლა აყენებს. ეს კი ეწინააღმდეგება აშშ-ს ფოკუსს ადამიანის უფლებებსა

იდეამ იმის შესახებ, რომ GDI ადამიანის უფლებების ამჟამინდელ ჩარჩოსა და საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებულ სისტემას ნორმატიულ გამოწვევებს უქმნის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების (მათ შორის ავსტრალიის) შედარებით თავშეკავებულ პოზიციაზე. განვითარების სფეროში არსებული თანამშრომლობის არეალი ახლა უკვე კონკურენციის ადგილადაა აღქმული.

და განვითარების ინდივიდუალურ გეგმებზე, რომლებიც მიზნად ისახავს პიროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიის ხელშეწყობას.

საქართველოს ჩართულობა GDI-ში: რეალობისა და რისკების გაცნობიერება

GDI, თავისი თანდაყოლილი ლექსიკური ბუნდოვანების ფონზე, რომელიც გამოიხატება უკიდურესად ფართო და კონკრეტიკას მოკლებული ტერმინოლოგიის გამოყენებაში, წინ წამოწევს საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემებს. ორაზროვნება ფუნდამენტურ გამოწვევას წარმოადგენს, იმდენად, რამდენადაც იგი ართულებს ინიციატივის შედეგებისა და მისი გაფართოების მასშტაბების გაგებას.

პროექტის მიმართ საქართველოს ენთუზიაზმით სავსე, ყველანაირი ეჭვისგან დაცლილი განწყობა კიდევ უფრო პრობლემურია აღნიშნულ სიტუაციაში, რადგან ქვეყანა თანახმაა პარტნიორობაზე, მისი კონკრეტული პასუხისმგებლობებისა თუ მიზნების სრულად გაცნობიერების გარეშე.

„ვალის ხაფანგისა“ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მსგავსი პროექტების გავლენის გაზრდის მიზნით გამოყენების პრეცედენტებიდან გამომდინარე, ამ საკითხებზეც არსებობს შეშფოთების საფუძველი. ნაკლები ღიაობის მქონე პროექტის მხარდაჭერისას კი მსგავსი რისკი გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს.

ექსპერტებს აქვთ საფუძველი იფიქრონ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას GDI-ს გამოყენება სურს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებისთვის, რომელიც წინააღმდეგ-

ობაში იქნება ლიბერალურ დემოკრატიულ იდეალებსა და შეხედულებებთან. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს საერთაშორისო სამართლის პრინციპების პოტენციურ ცვლილებას, ადამიანის უფლებების ხელახლა ინტერპრეტაციას და სხვა ისეთი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებას, რომლებიც ხშირად შესაძლოა წინააღმდეგობაში იყოს საქართველოს სტრატეგიული მოკავშირეების, ისეთების როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი, ინტერესებთან.

საქართველოს სურვილის, მოიაზრებოდეს დასავლურ სამყაროსთან ერთად, გაწევრიანდეს ევროკავშირსა და ნატოში, გათვალისწინებით GDI-ში გაწევრიანება სერიოზულ სირთულეებს გამოავლენს. გაურკვეველ და არაპროგნოზირებად პროცესში შესვლამდე, რომელმაც შესაძლოა დასავლეთთან დაკავშირებულ სტრატეგიულ მიზნებს შეუქმნას საფრთხე, საქართველოს სიფრთხილის გამოჩენა და გადაწყვეტილებების სიღრმისეულად გადასინჯვა მართებს.

ამასთან ერთად, მიჩნეულია, რომ ჩინეთი GDI-ს იყენებს რბილი ძალისა და საკუთარი იდეოლოგიის გასავრცელებლად განვითარებად ქვეყნებში. ეს, რა თქმა უნდა, ბადებს კითხვებს პეკინის მოტივებისა და ტენდენციების შესახებ გამოიყენოს ინვესტიციები და სხვა ქმედებები გავლენების მოსაპოვებლად. ინიციატივის მოქნილობა და ინკლუზიურობა განიხილება, არა მარტო როგორც სარგებელი ადგილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არამედ ასევე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ სხვა ქვეყნებზე კონტროლის დამყარების შესაძლო მექანიზმი.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს დაკავშირება GDI-სთან სიფრთხილით უნდა შეფასდეს როგორც პასუხისმგებლობებისა და შესაძლო შედეგების ნაწილში, ისე სახელმწიფოს საერთო საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ჭრილში, რაც თავის მხრივ, მოიაზრებს დასავლეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ზემოაღნიშნულის თავსებადობას.

ავტორი:

ქეთევან გელაშვილი

ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მას/სამოქალაქო იდეას და არ ასახავს დამხმარე ორგანიზაციების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.